ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №225

ქ. თეთრიწყარო

14 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **ი.მ „თამაზ აზრუმელაშვილი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ ხოპისში სასმელი წყლის ქსელის მოსაწყობად მასალების: ელ.სადენის /31300000-CPV/, მილების /44100000-CPV/, მილების გადასაბმელების /44100000-CPV/, ონკანების /44100000-CPV/, წყლის ტუმბო /42100000-CPV/ და სასმელი წყლის ავზის /44600000-CPV/ შესყიდვა, დანართი №1-ის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის N67 დადგენილება, 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულება და 2015 წლის 03 აპრილის N151 დადგენილება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2138.40 (ორი ათას ასოცდათვრამეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს დღგ-ს გარეშე.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, მისი ტრანსპორტირების ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1. 2015 წლის 26 დეკემბრამდე უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხარისხიანი საქონელის მიწოდება, დანართ №1-ში მითითებული ოდენობების შესაბამისად.

3.2. მიწოდებული საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ხარისხიანით შეცვლა.

"შემსყიდველი" ვალდებულია:

3.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხიანი საქონლის დროულად მიწოდების შემდეგ ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის გადასახდელი თანხიდან.

5.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.

5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. გარანტია

7.1 მიწოდებული წყლის ტუმბოსა და სასმელი წყლის ავზის საგარანტიო ვადა არის ერთი წელი.
7.2 თუ აღნიშნულ ვადაში დაზიანდება მიწოდებული საქონელი, რომელიც გამოწვეული არ იქნება გარე მექანიკური ზემოქმედებით ან მათი არასწორი ექსპლუატაციით, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის ახლით შეცვლა.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
8.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
– მხარეთა შეთანხმებით;
– ფორს-მაჟორული სიტუაციით;
– ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ICIPAL
6925

11. ინსპექტირების პირობები

11.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – მზია ადუაშვილი და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – ივანე აფციაური.

12. დავის გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 14 დეკემბრიდან 2016 წლის 31 იანვრამდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,
ს/კოდი: 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22

მომწოდებელი:

ი.მ. თამაზ აზრუმელაშვილი
მის: თეთრიწყარო სოფ. დიდი თონეთი.
ს/კოდი: 22001021078
ა/ა GE44LB0112179741008000
ს/ს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22

15. მხარეთა ხელმოწერები

ბესიკ წიკლაური

მუნიციპალიტეტის გამგებელი

თამაზ აზრუმელაშვილი

ინდ.მეწარმე

დანართი №1

შესაძენი საქონლის ჩამონათვალი

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი ტრანსპორტირების გათვალისწინებით	საერთო ღირებულება
1	წყლის ტუმბო (MODEL QDXIO-12055, 220W) სიღრმე 38მ, წუთში 167ლ.	ცალი	1	290	290
2	მილი 3/4	მეტრი	209	1.60	334.40
3	ელ.სადენი 2*2.5	მეტრი	190	2.60	494.00
4	წყლის ავზი 1.5ტ.	ცალი	2	445.00	890.00
5	მილის გადასაბმელი 3/4	ცალი	10	7.00	70.00
6	ონკანი 3/4	ცალი	5	12.00	60.00
	ჯამი:				2138.40

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: